

## წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნში ივანე ჯავახიშვილის ორი ტექსტია გაერთიანებული. ორივე ქართული უნივერსიტეტის თემას ეძღვნება. პირველი უნივერსიტეტის დაარსებამდეა დაწერილი, როგორც მისი აუცილებლობის დასაბუთება; მეორე — უნივერსიტეტის დაარსებიდან ოცი წლის შემდეგ.

პირველი ტექსტი 1917 წელს ორჯერ წაკითხული მოხსენების ტექსტია, პირველად — 12 მაისს თბილისში, უნივერსიტეტის დაარსებისადმი მიძღვნილ პირველ კრებაზე, მეორედ — იმავე წლის 17 მაისს, ახლა უკვე ქუთაისში გამართულ კრებაზე. ივანე ჯავახიშვილი ამ დროისათვის სულ რაღაც ერთი თვის დაბრუნებულია სამშობლოში<sup>1</sup> — პეტერბურგიდან, სადაც ის 1895 წლიდან ჯერ ეუფლება მეცნიერებას, შემდეგ კი უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ის მალევე ბრუნდება საქართველოში; მიზანი — დააარსოს პირველი უნივერსიტეტი არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს რეგიონშიც.

მეორე ტექსტი 1938 წელს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილია. ამ დროისათვის კომუნისტური რეჟიმის მიერ ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიები ჩამცხრალია, თუმცა დიდ მეცნიერს სულ ორი წლის სიცოცხლე დადარჩენია. დასკვნა, რომელიც მას უნივერსიტეტის ოცნლიანი არსებობის შემდეგ გამოაქვს, ასეთია: „1918 წლის 26 იანვარი ქართული კულტურის ისტორიის მართლაც უმნიშვნელო თარიღი არ ყოფილა“.

ეს, რასაკვირველია, თავმდაბლობის გამოხატულებაა „უმნიშვნელო თარიღი არ ყოფილა“ წინამდვილეში ნიშნავს — „უაღრესად მნიშვნელოვანი თარიღი იყო“. ეს იყო თარიღი, როდესაც საქარ-

<sup>1</sup> ჯორბენაძე, ს. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1981, 188 ff.

თველოში დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთი საფუძვლადმდებარე ინსტიტუტი გაჩნდა.

თუ დავაკვირდებით, ქართული კულტურის მოკლე, მაგრამ ძალზე შინაარსიან მიმოხილვაში, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი გვთავაზობს 1917 წლის მოხსენებაში, არსადაა იმაზე მინიშნებაც კი, რომ შუა საუკუნეების საქართველოში არსებობდა უნივერსიტეტის ანალოგიური სტრუქტურა. ეს მეცნიერის აზროვნების სიზუსტესა და სიმკაცრეზე მეტყველებს. ნაკლებად ზუსტი აზროვნების მოყვარულები დღესაც კი იტყვიან ხოლმე — ევროპაში თუ უნივერსიტეტები იყო, ჩვენ, სამაგიეროდ, გელათისა და იყალთოს აკადემიები გვქონდათ. ეჭვი მეპარება, ვინმეს ივანე ჯავახიშვილზე უკეთ ცოდნოდა ამ აკადემიების მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის, მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ უნივერსიტეტი — ეს არაა აკადემია, არც დღევანდელ დღეს (ამიტომაც ის უარს ამბობს 1917 წელს უნივერსიტეტის ნაცვლად აკადემიის დაარსებაზე) და არც — შუა საუკუნეებში.

უნივერსიტეტი ყველა სხვა სასწავლო ინსტიტუტისგან განსხვავებული დაწესებულებაა.

ის დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების პროდუქტია. იდეოლოგიის დონეზე, უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი ძალაუფლების, studium-ის წარმომადგენელი, რომლის გვერდზეც კიდევ ორი სხვა ძალაუფლება მოიაზრებოდა, imperium (იმპერატორის ძალაუფლება) და sacerdotium (პაპის ძალაუფლება). დამოუკიდებლობის ეს პრეტენზია არ იყო მოკლებული კონფლიქტურობას როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლების ინსტანციებთან. მაგრამ უნივერსიტეტები მთელი ევროპის ელიტების უმადლეს სკოლებს წარმოადგენდნენ ვიდრე გვიანდელ შუა საუკუნეებამდე. დაახლოებით მე-15 საუკუნიდან მოყოლებული ეს უნივერსიტეტები მეტ-ნაკლებად კარგავენ რეგიონულ მნიშვნელობას და კონკრეტული სახელმწიფოების ინსტიტუტებად იქცევიან.

უნივერსიტეტები არასოდეს ყოფილან მხოლოდ ტრადიციული ცოდნის გადაცემის ინსტიტუტები. გარდა ამ ფუნქციისა, ისინი ამ ცოდნისა და მისი ჩამოყალიბებული ფორმების რაციონალური განსჯის ამოცანასაც ასრულებდნენ. ამაზე თავად უნივერსიტეტებში არსებული სწავლების ფორმებიც მეტყველებენ: გარდა ლექციისა (ტრადიციული ცოდნის გადაცემა) არსებობდა ასევე დისპუტი (ცოდნის კრიტიკული განხილვა). ამიტომაც ევროპული ცოდნის ტრადიცია მუდმივად კრიტიკული იყო, ორიენტირებული გადამოწმებასა და სიზუსტეზე<sup>2</sup>.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც შუა საუკუნეების უნივერსიტეტი ახერხებს, არის მისი, როგორც განსაკუთრებული ინსტიტუტის განვითარება, რომელიც არ ქრება არც რწმენისა და არც ძალაუფლების, არც ეკლესიისა და არც სახელმწიფოს უკვე არსებულ სტრუქტურებში.

რასაკვირველია, დღევანდელი უნივერსიტეტისათვის ეს შუასაუკუნეობრივი ისტორია უაღრესად მნიშვნელოვანია. მაგრამ მისი თანამედროვე სახე მოგვიანებით, დაახლოებით 200 წლის წინ ყალიბდება. 1807-1810 წლებში ბერლინში უნივერსიტეტს აარსებენ. მინისტრის მრჩეველი გერმანელი ენათმეცნიერი და მოაზროვნე ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტია, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, უნივერსიტეტის ორ პროექტს შორის რომელს მიანიჭოს უპირატესობა. პირველი ეკუთვნის ფილოსოფოს იოჰან გოტლიბ ფიხტეს, მეორე კი — ასევე ფილოსოფოს ფრიდრიხ შლაიერმახერს.

ჰუმბოლდტი შლაიერმახერის პომიციას დაუჭერს მხარს, რომელიც მეცნიერების მიზანს მეცნიერების შიგნითვე ხედავს და არა — მის გარეთ. მაგრამ, ამასთანავე, უნივერსიტეტმა უნდა მიმართოს მეცნიერება ერის სულიერი და მორალური აღზრდისაკენ. აღზრდის ეს ფუნქცია ჰუმბოლდტისთვის დაუინტერესებელ

---

2 Rüegg, W. (Hrsg.). Geschichte der Universität in Europa, Bd. 1: Mittelalter, München: C. H. Beck 1993.

კვლევის ამოცანას არ ეწინააღმდეგება. გერმანელი მოაზროვნის მიხედვით, გონი სამი მიზნის მიღწევისკენაა მიმართული: ყოველივეს გამოყვანა პირველადი პრინციპიდან (მეცნიერული მოღვაწეობა), ყოველივეს დაკავშირება იდეალთან (ეთიკური და სოციალური პრაქტიკა) და ამ პრინციპისა და იდეალის გაერთიანება იდეაში (იმისათვის, რომ ნამდვილი მიზეზების მეცნიერული კვლევა ყოველთვის დაემთხვეს სამართლიანი მიზეზების ძიებას მორალურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში).<sup>3</sup> ამ სამმაგ მიზანმიმართულობას ჰუმბოლდტი გერმანელი ერის გონიერ ხასიათს უკავშირებს, რითაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ მისთვის არ არსებობს წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს, ერსა და კულტურას, ხოლო, მეორე მხრივ, ცოდნის დაუინტერესებელ ძიებას შორის.

რატომ არის ეს ევროპული ისტორია მნიშვნელოვანი? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სწორედ ბერლინის უნივერსიტეტის მოდელმა მოახდინა უზარმაზარი გავლენა თანამედროვე უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაზე; მეორეც, იმიტომ, რომ ესაა მოდელი, რომელსაც მისდევს ივანე ჯავახიშვილი, როდესაც ქართულ უნივერსიტეტზე საუბრობს. მისთვის უნივერსიტეტი მჭიდროდაა დაკავშირებული ერი-სახელმწიფოს ბედთან, ის წარმოადგენს „ეროვნული კულტურის მწარმოებელს, მცველსა და დამწერ-გავს“<sup>4</sup>. მოდის თუ არა ეს ნაციონალური მომენტი წინააღმდეგობაში უნივერსიტეტის მისიასთან, ანარმოოს ობიექტური კვლევა და ახალ თაობას გადასცეს ამ კვლევის შედეგები? არა. პირიქით, პოლიტიკური ერთობის ნაციონალური ფორმა ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა მეცნიერების განვითარებისთვის. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს დღეს, როდესაც ამ ნაციონალურ ფორმას

3 Lyotard, J.-F. La condition postmoderne: rapport sur le savoir. Paris: Editions de Minuit, 1979, 36.

4 Readings, B. University in Ruins, Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1996, 3.

ბევრი გლობალური პროცესი — პირველ რიგში კი, თავად გლობალიზაცია — აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ.

ხოლო პოლიტიკური ფორმა, რომელიც ვერ იტანს დამოუკიდებელ მეცნიერებას, დიდი ქართველი მეცნიერის ცხოვრებაში მალევე გაჩნდება. 1930-1936 წლებში ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული უნივერსიტეტი საკუთარ დამაარსებელს დაუწყებს ბრძოლას — როგორც „მემარჯვენე პროფესორს“. რასაკვირველია, არა საკუთარი ინიციატივით — უბრალოდ, ცოდნა საბჭოთა კავშირში ვერაფრით იქნებოდა დამოუკიდებელი ინსტანცია პოლიტიკური სისტემის გვერდით. საბჭოთა კავშირში ყველა სისტემა, რომელსაც თანამედროვე საზოგადოებაში საკუთარი დამოუკიდებელი ლოგიკის მიხედვით უნდა ემუშავა, დაექვემდებარა ერთს; პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, ხელოვნება, მეცნიერება, იდეოლოგია — ეს ყოველივე ერთმანეთთან გაერთიანდა, ხოლო რადგან ეს გაერთიანება ერთ ცენტრს იყო დაქვემდებარებული, მისი ძალაც უფრო დიდი იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა სისტემისა ისტორიის მანძილზე. გასაგებია, რომ დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევა ამ ერთიანი სისტემისათვის არ იქნებოდა მისაღები.

დღეს, ამ სისტემის ნანგრევებზე, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, დავბრუნდეთ არა მხოლოდ დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტების გამოცდილებას, არამედ გავისხენოთ ამ გამოცდილების გადმოღების პირველი ნარმატიული მცდელობა. ივანე ჯავახიშვილის წინამდებარე ტექსტების წაკითხვა და გადაკითხვა სწორედ ამ საქმეში დაგვეხმარება.

გიგა ზედანია

8.09.2010